05/12/2025

MES 3 25 0001737797

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.11.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 16:05
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან აფთარაშვილი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. ვაჟა კელიხაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. ნათია იორდანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. თეა მჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

7. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
11. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
12. ბონდო გასვიანი - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

- ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

- ნათია სამუშია - პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში
- მარინა ქარჩავა - პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში
- ბესარიონ ლასარეიშვილი - ვეტერინარული მედიცინის სკოლის დეკანი / პროგრამების ხელმძღვანელი
- ნინო კაჭარავა - ვეტერინარული მედიცინის სკოლის კოორდინატორი
- ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- გიორგი კაკაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
- მარინე ხიზანიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
- ნინო ჭალაგანიძე - მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი
- ვახტანგ წივწივაძე - ვიცე რექტორი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

- არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- გიორგი გეწაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
- ქეთი ცხადაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
- ნოდარ ხერხეულიძე - საჯარო ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტები

- მარიკა ბოკუჩავა - I საკითხი
- ლევან ციცქიშვილი - I საკითხი
- ქრისტინე ჩიხლაძე - I საკითხი
- გიორგი მხეიძე - I საკითხი
- სეიფედინ კადრი - I I საკითხი
- გიორგი კუჭავა - I I საკითხი
- თეონა დადუნაშვილი - I I საკითხი
- ვასილ კიკუტაძე - I I I საკითხი
- თეა კასრაძე - I I I საკითხი
- ილია ბოცვაძე - I I I საკითხი
- გიორგი მერაბიშვილი - I I I საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ქეთევან აფთარაშვილმა**.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის ინტეგრირებული სამაგისტრო, ვეტერინარის მომზადების და ვეტერინარული მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ქართულენოვანი საბაკალავრო და "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფინანსური რისკების მენეჯმენტის" (ქართულენოვანი) სამაგისტრო და "ფინანსური რისკების მენეჯმენტის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის ინტეგრირებული სამაგისტრო, ვეტერინარის მომზადების და ვეტერინარული მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ქართულენოვანი საბაკალავრო და "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფინანსური რისკების მენეჯმენტის" (ქართულენოვანი) სამაგისტრო და "ფინანსური რისკების მენეჯმენტის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. "შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N1669329 გადაწყვეტილების დანართში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

პირველი საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის ინტეგრირებული სამაგისტრო, ვეტერინარის მომზადების და ვეტერინარული მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, გასპარ ფრანცისკო როს ბერუზოს პოზიცია დამსწრეებს გააცნო თარჯიმანმა ანა ლელაძემ: აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით დასტურდება, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აჩვენებს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების წარმატებით განხორციელების მტკიცე ვალდებულებას. ვეტერინარული მედიცინის ინტეგრირებული სამაგისტრო, ვეტერინარის მომზადების და ვეტერინარული მედიცინის სადოქტორო პროგრამები სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან. ვიზიტი განხორციელდა თანამშრომლობით გარემოში და პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა დაწესებულების ხედვა და მიდგომა მაღალი ხარისხის განათლების და ინოვაციების მიმართულებით. მსურს ხაზი გავუსვა ინფრასტრუქტურაში განხორციელებულ ინვესტიციას და სასწავლო გეგმის ინოვაციურობას. უნივერსიტეტმა სტრატეგიულად განახორციელა ინვესტიცია ინფრასტრუქტურის და სასწავლო გეგმის მოდერნიზებაში, რითიც უზრუნველყო პროგრამების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკული სწავლების მიწოდება. უნივერსიტეტმა ჩადო ფინანსები საგანმანათლებლო რესურსებში, რაც აძლიერებს ვეტერინარული მედიცინის პროგრამების პრაქტიკულ კომპონენტს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ვეტერინარული მედიცინის სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებაში ჩადებულია 550,000 დოლარზე მეტი. კამპუსში განთავსებულია ორი მოქმედი ვეტერინარული კლინიკა, Veterinarium და Mayhew Georgia, რომლებიც სტუდენტებს აძლევენ კლინიკურ გარემოში პრაქტიკული განათლების მიღების შესაძლებლობას. Veterinarium - ი ახალი გარემოტებულია და უზრუნველყოფილია უახლესი აღჭურვილობით. აღნიშნული ობიექტების მხარდაჭერით, კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა საქართველოში პირველად განახორციელეს ისეთი ქირურგიული პროცედურები, როგორიცაა კიდურის პროთეზირება და კისრის მალების სპონდილოდეზი. ვეტერინარული მედიცინის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაში პრაქტიკისთვის/ ლაბორატორიული მუშაობისთვის განსაზღვრულია 130 კრედიტი, რაც შეადგენს მთლიანი მოცულობის 42%-ს. პრაქტიკულ მეცადინეობებს ესწრებიან მცირე ჯგუფები, არაუმეტეს 20 სტუდენტი, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო გეგმა დაკორექტირდა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე. დაინერგა თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდოლოგიები. გამოიყენება აქტიური სწავლება: სწავლების მეთოდები მოიცავს შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (CBL) და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL). პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისთვის მოეწყო ახალი აუდიტორია. კლინიკურ საგნებში გამოყენებულია თანამედროვე შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE). პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია კვალიფიციური პერსონალით და მექანიზმებით, რაც ხელს უწყობს კვლევით ჩართულობას და პროფესიულ განვითარებას. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური პერსონალი. მათი რაოდენობა აღემატება სტუდენტების რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ სწავლებას. დასტურდება პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სტაბილურობა. ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაში პერსონალის გადინების მაჩვენებელი დაბალია (3.6%). ვეტერინარული მედიცინის სადოქტორო

პროგრამაში კი 0% ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, სთავაზობს მათ სამეცნიერო აქტივობების, კვლევითი მივლინებების და საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობის მოქნილ ფინანსურ მხარდაჭერას (მაგ., ცოდნის ფონდის ან თანადაფინანსების მეშვეობით). მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის წევრები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამის კვლევითი გამოცდილება და სამეცნიერო ნაშრომები. ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოაქვეყნა 301 სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო სადოქტორო პროგრამის პერსონალმა 109 სამეცნიერო ნაშრომი. უნივერსიტეტის ძირითადი ძლიერი მხარეა პრაქტიკა, სტუდენტები თანაავტორებად მონაწილეობენ სამეცნიერო ნაშრომების უმრავლესობაში, რაც ადასტურებს ხელმძღვანელობის ხარისხს და კვლევაში სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. სადოქტორო პროგრამაში შენარჩუნებულია ხელმძღვანელების ოპტიმალური თანაფარდობა, 11 ხელმძღვანელი 3 სტუდენტზე, რაც უზრუნველყოფს მაღალი დონის ინდივიდუალურ ყურადღებას. აქტიური დოქტორანტებისთვის დადგენილი თანაფარდობა არ აღემატება 1 / 3 თან. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მდგრადობისთვის უზრუნველყოფილია ფინანსური სტრუქტურა და ინტეგრირებული ხარისხის სისტემა, რომელიც იყენებს გარე უკუკავშირს უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. უნივერსიტეტი როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ცოდნის ფონდის" მეშვეობით, შემოსავლის 100% ახმარს საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერებას. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ფინანსურად მდგრადია, მხარდაჭერილია სტუდენტების სტაბილური ჩარიცხვით და გარე დაფინანსების წყაროებით, როგორიცაა სამეცნიერო გრანტები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას, ერთ - ერთი მაგალითია პროგრამა "საგზური", რომელმაც ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის გამოყო დაახლოებით 2.5 მილიონი ლარი. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ყოვლისმომცველია და იყენებს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისგან, დამსაქმებლებისგან და აკადემიურ პერსონალისგან მონაცემთა შეგროვებას, გამოკითხვებს და ინტერვიუებს, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის შედეგად პროგრამის დახვეწას და გაუმჯობესებას. უნივერსიტეტმა გამოიყენა წინა გარე შეფასებების შედეგები. მაგალითად, 2020 წლის აკრედიტაციის შემდეგ, დაკორექტირდა სადოქტორო პროგრამის კრედიტების განაწილება და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან. შესაბამისად, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის პროგრამები აკმაყოფილებენ აკრედიტაციის სტანდარტებს, რაც დასტურდება მატერიალური რესურსებით, სწავლების თანამედროვეობით და სტაბილურობით და კვლევაში აქტიური ჩართულობით. მიუხედავად აღნიშნულისა, დასკვნაში წარმოდგენილია რჩევები, რომლებიც მიზნად ისახავენ არსებული მიღწევების ოპტიმიზაციას და შემდგომ განვითარებას. დაწესებულების მიერ გარე შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება ადასტურებს ხარისხის გაუმჯობესების ვალდებულებას და ქმნის ვეტერინარული განათლების და კვლევის განვითარების მყარ საფუძველს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამების განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტის პრო-რექტორმა, ნათია სამუშიამ აღნიშნა, რომ 2008 წლიდან ჩართულია ვეტერინარიის პროგრამის შემუშავებაში, როგორც ასოცირების, ისე ვეტერინარულ კანონმდებლობაზე, კოდექსებისა და ქვენორმატიული აქტების მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ქეთევან აფთარაშვილმა გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით იკითხა, თუ რა გეგმები აქვს უნივერსიტეტს სტუდენტების მოზიდვის კუთხით, განსაკუთრებით კი სადოქტორო საფეხურზე. ნათია სამუშიას თქმით, კურსდამთავრებულებმა არაერთ შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო დოქტორის ხარისხის ფლობა ვეტერინარიაში და არა აგრონომიაში, რის საშუალებასაც აძლევდა უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გუნდმა ამაზე დაყრდნობით იმსჯელა და გადაწყვიტა, ცალკე გაიაროს აკრედიტაცია ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე. ამჟამად სამი დოქტორანტი ახორციელებს თავის კვლევას. ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რა გახდა სადოქტორო პროგრამისთვის შემდეგი რჩევის განსაზღვრის საფუძველი - „სასურველია, სადოქტორო პროგრამაზე მიღების მოთხოვნებში უნდა იყოს მითითებული აკადემიური ხარისხი სპეციალობის მიხედვით (ვეტერინარული მედიცინა)“. ექსპერტმა, მარიკა ბოკუჩავამ უპასუხა, რომ ჯგუფი უნივერსიტეტთან კომუნიკაციისას შეთანხმდა, რომ ვეტერინარია არის რეგულირებადი დარგი და სადოქტორო საფეხურზე ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტები წინასწარ უნდა ფლობდნენ ინფორმაციას პროგრამაზე დაშვების დარგობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხებიან ვეტერინარიის 5-წლიანი, მაგისტრთან გათანაბრებული კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტები, ხოლო როგორც უნივერსიტეტმა დააზუსტა, სხვა კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებს შეეძლებათ აგრონომიის პროგრამის ფარგლებში სწავლა.

ნათია სამუშიამ დაამატა, რომ უნივერსიტეტი ვეტერინარიის მიმართულებით თანამშრომლობს ატლანტას შტატში, “Georgian State University”-სთან და უნივერსიტეტში შეხვდათ ბევრი ქართველი სტუდენტი. ვეტერინარიის დიდი ნაწილი არის ცხოველის მედიცინა და ხშირად, საერთაშორისოდ გვხდებიან ექიმები, რომლებმაც ნეიროქირურგიის მიმართულებით სადოქტორო კვლევა ჩაატარეს ვეტერინარიაში და ვეტერინარები, რომლებმაც მიკრობიოლოგიის მიმართულებით კვლევა ჩაატარეს მედიცინაში. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ნეიროქირურგებს უნდა ჰქონდეთ ვეტერინარიის პროგრამაზე ჩაბარებისა და მაგალითად, „ვობლერის სინდრომის“ კვლევის შესაძლებლობა, რაც მოიცავს ცხოველის მალასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, რომელზეც პრაქტიკაში ვეტერინარებთან ერთად 4-საათან ინტენსიურ ოპერაციას ატარებს ხოლმე ცნობილი ქართველი ნეიროქირურგი ალექსი დვალიშვილი. ამგვარად, მედიცინასა და ვეტერინარიულ მედიცინას შორის კოლაბორაციის საშუალება უნდა რჩებოდეს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ბესარიონ ლასარეიშვილმა დაამატა, რომ მსგავსი შეზღუდვები უცხოეთშიც არ არის. ვეტერინარიას აქვს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: ბიომედიცინა, სავეტერინარო ბიოლოგია, იმუნოლოგია, ვირუსოლოგია, მიკრობიოლოგია, ფიზიოლოგია და სხვა, რომელშიც სრულიად საკმარისია ბიოლოგის ან მედიკოსის სამაგისტრო კომპეტენციის დონეც და მათ შეუძლიათ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა, რაც არ აძლევთ მათ უპირატესობას კლინიკურ საქმიანობაში, რადგან მაგალითისთვის გერმანიაში, დოქტორის ხარისხი პირდაპირ არ გაძლევს კლინიკაში მუშაობის უპირატესობას. მაგალითად, პირადად მე, ვსწავლობდი ვეტერინარულ მედიცინას და ნაშრომი დავიცავი ადამიანის დაბერების იმუნოლოგიაზე. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობაზე დაამატა, რომ პროგრამას აქვს უფრო მეტი სტუდენტის შესაძლებლობა, თუმცა უპირატესობა ენიჭება ხარისხიან განათლებას და ამჟამად, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის ხარჯზე პროგრამა ლავირებს მათ რაოდენობას. მომავალში იგეგმება სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივი გაზრდა, რაც დამოკიდებული იქნება აპლიკანტების აკადემიურ შესაძლებლობებზე.

ქეთევან აფთარაშვილმა ექსპერტებს ჰკითხა, დაზუსტდა თუ არა სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობის 2-წლიანი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია ვიზიტზე. მარიკა ბოკუჩავამ დაადასტურა, რომ კანდიდატს უნდა ჰქონდეს კვლევითი და სამუშაო გამოცდილება, რაც დადასტურდება წერილობითად და გასაუბრების ფარგლებში. ასევე, ბესარიონ ლასარეიშვილს უპასუხა, რომ ვეტერინარიის პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით ერთიანი საერთაშორისო მიდგომა არ არსებობს და ისინი განსხვავდება

სტრუქტურულად, თუმცა აღსანიშნავია, რომ ვეტერინარული მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს სამაგისტრო დონის კვალიფიკაცია ვეტერინარიაში და დაცული უნდა იყოს დარგობრივი რეგულაციები.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ლევან ციცქიშვილმა დაამატა, რომ „ჯორჯიის უნივერსიტეტისა“ და სხვა უნივერსიტეტების ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამებს აქვთ ვიწრო სპეციალიზაციები. მაგალითად, ვეტერინარულ ბიომედიცინაში, ვეტერინარულ ქირურგიაში, ვეტერინარულ ჯანდაცვაში შესაძლებელია მედიცინის კვალიფიკაციის მქონე სტუდენტს მიენიჭოს ვეტერინარიის დოქტორის ხარისხი, თუმცა სპეციალიზაციის გარეშე ამ ხარისხის მინიჭება განხილვის საგანი კი შეიძლება გახდეს, მაგრამ მაინც მიუღებელია. მარიკა ბოკუჩავამ დაამატა, რომ ვეტერინარული მედიცინა არ არის მხოლოდ ცხოველების ჯანმრთელობა და ბევრი გადაკვეთა აქვს ჯანდაცვასთან, მაგალითად, ანტიბიოტიკების გამოყენება. შესაბამისად, შესაძლებელია ეს თემა ჩაიშალოს ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით.
ნათია სამუშიამ დაამატა, რომ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს თავისი მომავალი ნაშრომის 1500 სიტყვიანი აღწერა, რომელსაც განიხილავს კომისია და დაასახელოს მათი პოტენციალური ხელმძღვანელი. თუ მას უნდა ვიწრო ქირურგიის მიმართულებით მუშაობა, მაშინ იქნება სხვა მიდგომა გამოყენებული. თუ უნდა ვირუსოლოგიის, ბიოლოგიის, ნეირონაწილის მიმართულებით, რაც სუსტად არის ვეტერინარიაში წარმოდგენილი და ბევრად კარგად მედიცინაში, ეს დაეხმარება დარგებს შორის თანამშრომლობას, შევსებასა და გაძლიერებას. აპლიკანტთა სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს ჩარჩოს მოთხოვნებს და აპლიკანტებს განესაზღვრებათ არათუ 2-წლიანი, არამაედ 5-წლიანი მოთხოვნა დარგში სამუშაო გამოცდილებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:35
დასრულების დრო: 14:40

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 დეკემბრამდე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 დეკემბრამდე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 დეკემბრამდე.

დაწესებულებას ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამაზე მიღების მოთხოვნებში მითითებული იყოს აკადემიური ხარისხი სპეციალობის მიხედვით (ვეტერინარული მედიცინა) და ამასთანავე,

პროგრამის მიღების წინაპირობებში ნათლად გაიწეროს/ დაზუსტდეს სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა.

საბჭოს სხდომა დატოვა ელიზაბრ ელიზბარაშვილმა.

მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ქართულენოვანი საბაკალავრო და "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სეიფედინ ქადრიმ დამსწრეებს გააცნო დასკვნაში მოყვანილი რეკომენდაციები და რჩევები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარინა გედევანიშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზმნები შერჩეულია დარგობრივი მახასიათებლითა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი ხელმძღვანელობით. სწავლის შედეგები შექმნილია ბლუმის ტაქსონომიის საშუალებით. ის არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ზმნები აუცილებლად ერთი-ერთში გადმოტანილი უნდა იყოს დარგობრივი მახასიათებლებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტიდან. მთავარია ზმნები იყოს აწმყო დროში და სწავლის შედეგი იზომებოდეს. ეს არგუმენტი ასახულია უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ქართულენოვანმა საგანმანათლებლო პროგრამამ ფუნქციონირება დაიწყო 2023-24 სასწავლო წლის სექტემბრიდან. კლასტერი სააკრედიტაციოდ წარდგენილ იქნა 2025 წლის 1 მაისს, როცა აღნიშნული პროგრამების სტუდენტები იყვნენ მეოთხე სემესტრში. თვითშეფასების დანართების მეთოთხმეტე საქაღალდეში მოცემულია განვლილი სამი სემესტრის თითოეული კურსის სწავლის შედეგების შეფასება გაუსის მექანიზმის მიხედვით. ვიზიტის დროს კითხვა არ დასმულა ამასთან დაკავშირებით, თუმცა ყველა დოკუმენტი იყო წარდგენილი სააკრედიტაციო პაკეტში. მეექვსე დანართში მოცემულია ორი პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმები და რამდენიმე დანართი. ესენია: სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირის რუქა, პროგრამით მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების დონეები და ინდიკატორები, გრაფიკი რომელშიც ასახულია რომელ კონკრეტულ სწავლის შედეგზე დაკვირვება მოხდება კონკრეტულ საგანში კონკრეტულ წელს. 2025 წლის სექტემბერში ჩვენ მხოლოდ ერთ კურსში, „მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებაში“ შეგვეძლო შეგვეფასებინა სწავლის შედეგის მიღწევა. უნივერსიტეტს მომზადებული აქვს ანგარიში ამ კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით, თუმცა ვიზიტი უკვე განხორციელებული იყო და ვერ წარედგინა. გარდა ამისა, მეშვიდე გვერდზე წერია სასწავლო პროგრამები შეფასების მრავალფეროვან ფორმებს, სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის კარგი კავშირია, თუმცა მეთერთმეტე გვერდზე წერია, რომ უნივერსიტეტს აერია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, კურსის სწავლის შედეგების შეფასებაში. მარინა გედევანიშვილის თქმით, ეს არ არის სწორი და არგუმენტირებული პოზიციის დანართ 1-ში მოცემულია ხარისხის სამსახურის სახელმძღვანელო დოკუმენტი - „ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების სწავლის შედეგებისა და შეფასების შესაბამისობის ცხრილები“, სადაც გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის ცოდნა, გაცნობიერება, უნარი და ის აქტივობა, რომლითაც დასტურდება სწავლის შედეგის მიღწევა. მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ დანართ 1-ში და ზოგადად რეკომენდაციები დაწესებულებისთვის მიუღებელია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა ექსპერტებს მიმართა კიხვით. მას აინტერესებდა პირველი და მეორე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი, რადგან მისი აზრით, სწავლის შედეგები რეალურად შედგენილია ბლუმის ტაქსონომიით და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებული მტკიცებულებებიც მოცემულია დოკუმენტაციაში.
სეიფედინ ქადრიმ უპასუხა, რომ იცნობს ბლუმის ტაქსონომიის დაახლოებით 10 ვერსიას და პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემული ზმნა - „აკავშირებს“ არც ერთ მათგანში არ არის მოცემული. მან იკითხა, რომელი აქტივობით არის შესაძლებელი ამ ზმნის გაზომვა. მარინა გედევანიშვილმა უპასუხა, რომ ეს აქტივობები ჩამოწერილია ხსენებულ დანართ 1-ის მესამე გრაფაში. მისი თქმით, სეიფედინ ქადრი მონაწილეობას იღებდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაციაში და ამ პროცესის ფარგლებშიც მიდიოდა დავა როგორც უნდა იზომებოდეს გაცნობიერება, რაც ძალიან მარტივია შეაფასო იმის მიხედვით, სტუდენტს დაზეპირებული აქვს კონკრეტული საკითხი თუ აცნობიერებს მას.
სეიფედინ ქადრიმ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დაესახელებინათ ერთი აქტივობა ნებისმიერ სასწავლო კურსში, რომლითაც შეიძლება შეფასდეს ზმნა „აკავშირებს“ ით ნაწარმოები სწავლის შედეგის მიღწევა.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი კაკაშვილმა მაგალითად მოიყვანა - კურსში მიღებული თეორიული ცოდნის პროექტის გამოწვევებთან დაკავშირება და ასევე, სასწავლო კურსი „IT პროექტი“. ციური დურულმა დაადასტურა, რომ ზმნა „აკავშირებს“ მოცემულია პროგრამის პრაქტიკის სწავლის შედეგებშიც. მარინა გედევანიშვილმა მოახდინა დანართი 1-ის მეთოთხმეტე გვერდიდან ამ სწავლის შედეგის ციტირება - „შესწავლილ თეორიებს, კონცეფციებსა და პრინციპებს აკავშირებს პრაქტიკულ საქმიანობასთან“, ხოლო მიღწევის

შეფასება ხდება პრაქტიკის ანგარიშით, პრაქტიკის შედეგების პრეზენტაციით, არგუმენტების წარმოდგენით, თეორიული ცოდნის დემონსტირებით, შეკითხვებზე დამაჯერებელი პასუხით. გიორგი კაკაშვილმა დაამატა, რომ ეს მოცემულია „საბაკალავრო პროექტშიც“.
საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა აღნიშნა, რომ ზმნებთან დაკავშირებით პრობლემა არ ჩანს და კითხვით მიმართა ექსპერტს. მას აინტერესებდა, „IT-სპეციფიკური უნარების შეფასების დანერგვა მისაღებ პროცესში: სასურველია, მიმღები კომისიის საქმიანობის პროცესში დაემატოს არჩევითი IT უნარების ტესტები (მაგ., მოკლე ონლაინ ტესტები ბაზისური ალგორითმების ან პრობლემის გადაჭრის შესახებ), რომლებიც გასაუბრებების პარალელურად ჩატარდება. ტესტების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს კსუ-ს ვებგვერდზე და აპლიკანტებისთვის შეთავაზებულ იქნას მოსამზადებელი რესურსები სამართლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.“ არის თუ არა აქტუალური ეს რჩევა საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით და რატომ არ იქნა გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიცია.
ექსპერტმა, გიორგი კუჭავამ უპასუხა, რომ დამსაქმებლებთან გასაუბრების შემდეგ გაჩნდა ეს იდეა, რჩევის დონეზე. მარინა გედევანიშვილმა უპასუხა, რომ საბაკალავრო დონეზე უნივერსიტეტს არანაირი დამატებითი გამოცდის დანიშვნის უფლება არ აქვს, ხოლო უცხოელი სტუდენტებისთვის გამოცდის ნიმუშის წინსწარ დადება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მათ. მათ მხოლოდ ევალებათ B2 დონის ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წელს 250 უცხოელი სტუდენტი ჩაირიცხა ინგლისურენოვან პროგრამაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:30

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 დეკემბრამდე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 დეკემბრამდე.

საბჭოს სხდომა დატოვა მაქსიმ იავიჩმა

მესამე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფინანსური რისკების მენეჯმენტის" (ქართულენოვანი) სამაგისტრო და "ფინანსური რისკების მენეჯმენტის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, კაროლინა ტიმკოს პოზიცია დამსწრეებს გააცნო თარჯიმანმა ანა ლელაძემ: ძვირფასო კოლეგებო, უპირველეს ყოვლისა, ბოდიშს გიხდით, რომ ვერ ვესწრები საბჭოს სხდომას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი კოლეგა ექსპერტები უპასუხებენ თქვენს კითხვებს.
ჩვენს მიერ შეფასდა საქართველოს უნივერსიტეტის "ფინანსური რისკების მართვის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები. თითოეული პროგტრამა მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამები წარმოადგენს ბიზნესისა და ადმინისტრირების კლასტერის ნაწილს და ისინი განხორციელდება ბიზნესისა და ადმინისტრაციული მეცნიერებების სკოლის მიერ.
ვიზიტი შედგა 2025 წლის 10-11 სექტემბერს, რასაც მოჰყვა დასკვნის შემუშავება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა.
შეფასების პროცესში შეფასების ექსპერტთა ჯგუფმა გულდასმით შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ინტერვიუების ფარგლებში დასვა კითხვები და დასკვნის მომზადების მიზნით გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია.
პროგრამები შემუშავდა 2024 წელს გრენობლის მენეჯმენტის კოლასთან თანამშრომლობით.
პროგრამებში 120 კრედიტი, განაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი კურსები - 84 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი, სავალდებულო დამატებითი ბლოკი - 6 კრედიტი და სავალდებულო არჩევითი კურსები - 30 კრედიტი.
ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია წარმოადგენილია დაკვნაში. პროგრამებს აქვთ ძლიერი და სუსტი მხარეები, და გვჯერა, რომ ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.
გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ეხება 1.2, 1.4, 2.2, 2.4 და 3.2 კომპონენტებს.
გაცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების ლოგიკური პროგრესირება, შესავლის, გაღრმავებისა და განმტკიცების თანმიმდევრობის დაცვით;
- რეკომენდებულია, პროგრამამ დანერგოს ინდივიდუალური კვლევითი კომპონენტი,
- რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სტუდენტის მიერ კვლევის მეთოდოლოგიის, მონაცემთა ანალიზისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო წერის უნარების დაუფლების დემონსტრირება, რაც აუცილებელია კვლევის სწავლის შედეგისთვის.
- რეკომენდებულია, ფინანსური რისკების მენეჯმენტის როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურაში სავალდებულო ელემენტად იყოს პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც მინიმუმ 5 ECTS კრედიტს მოიცავს.
- რეკომენდებულია, პროგრამის ადმინისტრაციამ სტუდენტის ჩარიცხვისთანავე გადახედოს სტუდენტის მიერ ადრე გავლილ კურსებს და, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო კურსებად გამოყოს „კვლევის მეთოდები“ და „აკადემიური წერა“
- რეკომენდებულია, მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ჯგუფური შეფასების ნაცვლად ინდივიდუალური შეფასების მეთოდებზე გადასვლა ან ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომლითაც თითოეული სტუდენტის ქულა ზუსტად ასახავს მათ მიერ პირადად შეტანილ წვლილსა და ძალისხმევას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ყველა ეტაპზე; ამგვარად დაცული იქნება აკადემიური შეფასების სამართლიანობა, ვალიდურობა და სანდოობა.
- რეკომენდებულია, მაგისტრატურის სტუდენტებმა ინდივიდუალურად მოამზადონ თავიანთი ნაშრომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კვლევისა და ნაშრომის წერის პროცესში თითოეული სტუდენტის მიერ შეტანილი წვლილის და როლისა ზუსტი წარმოჩენა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რჩევები:

- სასურველია, პროგრამის მიზნების ფორმულირებაში არსებული ტექნიკური უზუსტობის გამოსწორება, კერძოდ, სიტყვა „კურსის“ ნაცვლად სიტყვა „პროგრამის“ გამოყენება.
- სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს ფინანსური რისკების და ადამიანური რესურსების მართვის კონკრეტულ ასპექტებზე, რადგან ეს ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას.
- სასურველია, უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი საერთაშორისო ელექტრონული
- საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზები უფრო მეტად გამოიყენებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში, ასევე განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა (მაგალითად ფინანსური მენეჯმენტის სასწავლო კურსის) და გამრავალფეროვნდეს გამოყენებული დამხმარე ლიტერატურა.
- სასურველია კვალიფიციური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. ეს უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უფრო მდგრად სამუშაო დატვირთვას და გარანტიას იძლევა, რომ თითოეული სტუდენტი მიიღებს თანმიმდევრულ და მაღალი ხარისხის ხელმძღვანელობას, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხს.
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის საერთო მიზანი იყოს ხარისხის კულტურის დანერგვა (რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის მიმართ ფართოდ გაზიარებულ ცნობიერებასა და პასუხისმგებლობას).
- სასურველია, რომ მსგავს პროგრამებთან შედარების პროცესი უფრო დეტალურად იქნეს გაანალიზებული და ოფიციალურად აღირიცხოს დოკუმენტებში.
- ფინანსური რისკების მართვის (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამები მეტწილად შესაბამისობაში პირველ, მე - 2 და მე -3 სტანდარტებთან, ხოლო შესაბამისობაშია მე- 4 და მე - 5 სტანდარტებთან.

და ბოლოს თავმჯდომარემ მადლობა გადავუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჩართულობისთვის და მხარდაჭერისთვის, ასევე ცენტრის თანამშრომლებს თანამშრომლობისთვის და ლოგისტიკური მხარდაჭერისთვის. ხოლო საქართველოს უნივერსიტეტს წარმატებები უსურვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრე ბები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთი ცხადაძემ აღნიშნა, რომ სასწავლო რუკასთან დაკავშირებული რეკომენდაციისთვის, რომელიც ორივე პროგრამისთვის გაიცა, უნივერსიტეტმა წარადგინა სასწავლო რუკები.
სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებით - 1.2.2, 1.4.2, 2.2.1, 2.4.1 რეკომენდაციები იყო ერთი და იგივე. უნივერსიტეტი გაითვალისწინებს რეკომენდაციას და სტუდენტები ნამშრომებს შეასრულებენ ინდივიდუალურად და არა ჯგუფურად. სტუდენტებში პრაქტიკული და კვლევითი უნარების შემდგომი განვითარებისთვის გაიცა რეკომენდაცია, რომელიც მოითხოვდა პრაქტიკის კომპონენტის დამატებას პროგრამებში. დაწესებულებამ შეიტანა პრაქტიკა პროგრამების ძირითად კურსებში და განახლებული პროგრამები წარადგინა მტკიცებულებად. ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ირინა ლობჟანიძემ „სასურველია კვალიფიციური პერსონალის რაოდენობის გაზრდა. ეს უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უფრო მდგრად სამუშაო დატვირთვას და გარანტიას იძლევა, რომ თითოეული სტუდენტი მიიღებს თანმიმდევრულ და მაღალი ხარისხის ხელმძღვანელობას, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხს.“ რჩევასთან დაკავშირებით იკითხა. მისი თქმით, პროგრამების პერსონალი მცირეა და საინტერესოა, უქმნის თუ არა ეს რისკს პროგრამების განხორციელებას.

ექსპერტმა, თეა კასრაძემ უპასუხა, რომ პროგრამებს ჰყავს ახალგაზრდა, კვალიფიციური, პრაქტიკული მიმართულებით გამოცდილი კადრები და მათ ნაკლებად ჰქონდათ აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომების ინდივიდუალურად შესრულების შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს პერსონალის სიმცირის საკითხი. ექსპერტმა ვასილ კიკუთაძემ დაამატა, რომ ამ მომენტში არ დგას არანაირი რისკი პერსონალის ჯამურ რაოდენობასთან და მათ კომპეტენციასთან მიმართებით. რეალურად რჩევა ითხოვს მომავალში აკადემიური ნიშნით პერსონალის რაოდენობის ზრდის უზრუნველყოფას. დააზუსტა, რომ დოქტორის ხარისხი პროგრამაში ჩართულ ყველა პირს არ აქვს და ეს არც არის აუცილებელი. მათ აქვთ ადეკვატური კომპეტენციები პროგრამის განხორციელებისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის.
ციური დურულმა 1.2.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, კვლევითი კომპონენტის დამატების საჭიროება ნიშნავს თუ არა იმას, რომ პროგრამის არსებული ფორმით კვლევასთან დაკავშირებული სწავლის შედეგი არ მიიღწევა. ვასილ კიკუტაძემ უპასუხა, რომ სტუდენტებს ეძლევათ საშუალება გაიარონ „აკადემიური წერა“ სავალდებულო-არჩევითი კურსის სახით და სავარაუდოდ რეკომენდაციის შინაარსის ტექნიკურ გაორებას აქვს ადგილი. დაადასტურა, რომ ხსენებული სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელია თავისუფლად. ვასილ კიკუტაძემ დაამატა, რომ ვიზიტის დროს შეფასებულ იქნა სამაგისტრო ნაშრომები და დადასტურდა მათი მაღალი ხარისხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:40
დასრულების დრო: 15:45

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ფინანსური რისკების მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ფინანსური რისკების მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (01/03/2032), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები ჩამოყალიბდა აღნიშნული სახით:

- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების ლოგიკური პროგრესირება, შესავლის, გაღრმავებისა და განმტკიცების თანმიმდევრობის დაცვით;
- რეკომენდებულია, ფინანსური რისკების მენეჯმენტის როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურაში სავალდებულო ელემენტად იყოს პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც მინიმუმ 5 ECTS კრედიტს მოიცავს.
- რეკომენდებულია, პროგრამის ადმინისტრაციამ სტუდენტის ჩარიცხვისთანავე გადახედოს სტუდენტის მიერ ადრე გავლილ კურსებს და, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო კურსებად გამოყოს „კვლევის მეთოდები“ და „აკადემიური წერა“.
- რეკომენდებულია, მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ჯგუფური შეფასების ნაცვლად ინდივიდუალური შეფასების მეთოდებზე გადასვლა ან ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომლითაც თითოეული სტუდენტის ქულა ზუსტად ასახავს მათ მიერ პირადად შეტანილ წვლილსა და ძალისხმევას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ყველა ეტაპზე; ამგვარად დაცული იქნება აკადემიური შეფასების სამართლიანობა, ვალიდურობა და სანდოობა.

- რეკომენდებულია, მაგისტრატურის სტუდენტებმა ინდივიდუალურად მოამზადონ თავიანთი ნაშრომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კვლევისა და ნაშრომის წერის პროცესში თითოეული სტუდენტის მიერ შეტანილი წვლილის და როლისა ზუსტი წარმოჩენა.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ფინანსური რისკების მენეჯმენტის” ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ფინანსური რისკების მენეჯმენტის” ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (01/03/2032), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები ჩამოყალიბდა აღნიშნული სახით:

- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების ლოგიკური პროგრესირება, შესავლის, გაღრმავებისა და განმტკიცების თანმიმდევრობის დაცვით;
- რეკომენდებულია, ფინანსური რისკების მენეჯმენტის როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურაში სავალდებულო ელემენტად იყოს პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც მინიმუმ 5 ECTS კრედიტს მოიცავს.
- რეკომენდებულია, პროგრამის ადმინისტრაციამ სტუდენტის ჩარიცხვისთანავე გადახედოს სტუდენტის მიერ ადრე გავლილ კურსებს და, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო კურსებად გამოყოს „კვლევის მეთოდები“ და „აკადემიური წერა“.
- რეკომენდებულია, მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ჯგუფური შეფასების ნაცვლად ინდივიდუალური შეფასების მეთოდებზე გადასვლა ან ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომლითაც თითოეული სტუდენტის ქულა ზუსტად ასახავს მათ მიერ პირადად შეტანილ წვლილსა და ძალისხმევას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ყველა ეტაპზე; ამგვარად დაცული იქნება აკადემიური შეფასების სამართლიანობა, ვალიდურობა და სანდოობა.

- რეკომენდებულია, მაგისტრატურის სტუდენტებმა ინდივიდუალურად მოამზადონ თავიანთი ნაშრომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კვლევისა და ნაშრომის წერის პროცესში თითოეული სტუდენტის მიერ შეტანილი წვლილის და როლისა ზუსტი წარმოჩენა.

მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N1669329 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან და მიმართა საბჭოს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2024 წლის 27 დეკემბრის N1669329 გადაწყვეტილების დანართში „აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად/ მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვული ვადა“ ველში კონკრეტული თარიღი განისაზღვროს 2025 წლის 13 დეკემბერი. მან ასევე აღნიშნა რომ დანართში თარიღი ჩამატება ტექნიკური ხარიათის ცვლილებაა, რადგან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ეს თარიღი უკვე ფიქსირდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 16:00

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N1669329 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური ცვლილების შეტანა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად 2024 წლის 27 დეკემბრის N1669329 გადაწყვეტილების დანართის „აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად/ მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა“ ველში შევიდეს ტექნიკური ცვლილება და აგნარიშის წარმოდგენის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 13 დეკემბერი.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 21 ნოემბრის 16:05 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან